სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქი

0105, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.: (995 32) 990378, 989540; ფაქსი: 987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0105
Tel.: (995 32) 990378, 989540; Fax: 987114


ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო!

ქ. თბილისში, მახათას მთაზე, იწყება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ის, რომ საქართველო წილხვედრია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და მისი მფარველობის ქვეშ იმყოფება, ყველასათვის ცნობილია; ამიტომაც მისასალმებელია ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, ბატონ პაატა ბურჭულაძის ინიციატივა ტაძრის მშენებლობისათვის სპეციალური ფონდის – „ივერიისა"–ს დაფუძნების და ამ გრანდიოზულ მშენებლობაში ჩვენი მოსახლეობის აქტიური ჩართვის შესახებ.

პაატა ბურჭულაძეს და მის მიერ დაფუძნებულ ფონდ „ივერიისა"–ს ეძლევა ლოცვა კურთხევა უხელმძღვანელოს ტაძრის მშენებლობას და ამ მიზნით გაღებული შემოწირულობის შეგროვების საქმეს.

დარწმუნებული ვარ, ერთად ავაშენებთ ამ დიდებულ ტაძარს, რითაც კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი ერისა და ქვეყნის სულიერი გაჯანსაღებისა და გაერთიანებისაკენ.

ღმერთმა დალოცოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებელი მართლმადიდებელი მრევლი და სრულიად საქართველო.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქი

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის
ტაძრის მშენებლობის ფონდი **ივერიისა**

**IVERIISA** FOUNDATION FOR CONSTRUCTION OF
CATHEDRAL OF IVERIA'S MOST HOLY THEOTOKOS ICON

№ 1/1

07 09 2010

ძვირფასო მეგობრებო,

მაქვს პატივი გაახლოთ სრულიად საქართველოს პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მიმართვა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონ დავით ბაქრაძის წერილი და გაცნობოთ, რომ ქ.თბილისში მახათას მთაზე იწყება ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა.

მისმა უწმიდესობამ 2010 წლის 24 მაისს ფონდ „იავნანას" აქციაზე სრულიად საქართველოს მოუწოდა მშენებლობისაკენ და აღნიშნა, რომ ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ამ იდეის გარშემო გაერთიანებით ქართველი ხალხი შექმნის საკუთარ მეორე ავტოპორტრეტს, სამების საკათედრო ტაძრის შემდეგ.

საქართველოს პატრიარქმა მოიწონა ჩვენი ინიციატივა მშენებლობის დაფინანსების უნიკალური სქემის შესახებ და კურთხევა მოგვცა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, განათლებისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა გავერთიანდეთ და ყველამ თანასწორი წვლილის შეტანით, ერთად ავაშენოთ ეს უდიდესი სულიერი სავანე. ჩვენს მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს მისცემს ტაძრის მშენებლობაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას და ეს მონაწილეობა იქნება ყოველთვიურად გაღებული 1 ლარი. ამასთანავე, პროექტის მხარდამჭერს სურვილის შემთხვევაში საშუალება ექნება ყოველთვიურად ტაძრის მშენებლობის სპეც. ანგარიშზე ჩარიცხოს შესაბამისი თანხა გარდაცვლილი წინაპრებისა და არასრულწლოვანთა სახელზე და შემოწირულობა გაიღოს იმ ადამიანების სახელითაც, ვინც არ არის დასაქმებული და სოციალური მდგომარეობის გამო, ვერ იღებს მონაწილეობას აქციაში. სათანადო განაცხადის ფორმები თან ერთვის.

გაცნობებთ, რა ყოველივე ზემოთაღნიშნულს, გთხოვთ, თქვენდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული დანაყოფების ყველა თანამშრომელს მიაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი ქვეყნისთვის საეტაპო მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის შესახებ. აქციაში მონაწილეობაზე მათი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს გააფორმონ ხელშეკრულება თქვენს პარტნიორ ბანკებთან ავტომატურ დავალებაზე და ყოველთვიურად, უკვე დარიცხული ხელფასიდან ჩარიცხონ სათანადო თანხა ფონდი "ივერიისა"-ს ანგარიშზე.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სამონასტრო კომპლექსი სწორედ ჩვენი ერთიანობითა და თანასწორობით იქნება განსაკუთრებული, მსოფლიოში არ არსებობს სხვა ანალოგი, როცა არა რომელიმე ბიზნესმენი ან ორგანიზაცია, არამედ ხალხი, თავისი კეთილი ნებით ააშენებს უდიდესი მნიშვნელობის სამონასტრო კომპლექსს. ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატის სადიდებლად აგებულ სულიერ სავანეში შესულ ყველა დედას შეეძლება თავისი შვილისთვის სიამაყით თქმა – ეს ტაძარი მე და შენ ავაშენეთ, მთელს საქართველოსთან ერთად!

პატივისცემით

პაატა ბურჭულაძე

აქციაში მონაწილეობაზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ტელეფონებზე: 877 41 19 41, +(995 32) 14 04 84

№ 9869/2-1
27.09.10

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ფონდ „ივერიისა“-ს პრეზიდენტს
ბატონ პაატა ბურჭულაძეს

ბატონო პაატა,

საქართველოს პარლამენტის  და პირადად ჩემი სახელით, მივესალმები და მხარს ვუჭერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით თბილისში, მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის იდეას.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის აშენება იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სულიერი გამთლიანებისათვის, ხოლო ტაძრის მშენებლობაში მოსახლეობის აქტიური ჩართვა  საშუალებას მისცემს ქართველ ერს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში.

აღნიშნული იდეა მით უფრო მისასალმებელია იმის გათვალისწინებით, რომ გარდა სულიერისა, ტაძარი ასევე იკისრებს ძალზე მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციას. ის დაეხმარება ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებს გაიარონ რეაბილიტაციის პროცესი და დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მხარს ვუჭერთ თქვენს ინიციატივას, ტაძრის მშენებლობისათვის სპეციალური ფონდის – „ივერიისა“ - შექმნის თაობაზე და მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში.

ვფიქრობთ, ამ ინიციატივის მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო, ასე კერძო სექტორში დასაქმებული მოქალაქეებისაგან იქნება თითოეული ჩვენთაგანის შეტანილი წვლილი დიდი საერო და სასულიერო საქმის წარმატებით განხორციელებაში.

პატივისცემით,

დავით ბაქრაძე

## ინსტრუქცია ორგანიზაციის მენეჯმენტისთვის

თქვენ მიიღეთ შემდეგი ინფორმაცია:

- **სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II წერილი** მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრისა და სავანის მშენებლობის შესახებ.

- **პარლამენტის თავმჯდომარის წერილი**
  ამ პროექტში სახელმწიფოს მხარდაჭერის მზაობის თაობაზე.

- **პაატა ბურჭულაძის მიმართვა**
  აქციის მნიშვნელობისა და შემოწირულობის შეგროვების უნიკალური და უპრეცენდენტო სქემის აღწერით

- **დანართი 1**. რომელიც დაურიგდება ყველა თანამშრომელს იმისათვის, რომ დააფიქსირონ იმ ცოცხალი და გარდაცვლილი ადანიანების სახელები და გვარები, ვის სახელზეც სურთ შემოწირულობის გაღება და ყოველთვიურად ტაძრის მშენებლობისათვის შემოსაწირი სრული თანხის ოდენობა. აუცილებლად უნდა მიუთითონ აქციაში ჩართვის თარიღი. ამ საბუთის საფუძველზე ორგანიზაციის ბუღალტერია უზრუნველყოფს ყოველთვიურად თანამშრომლის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვას ტაძრის მშენებლობის ანგარიშზე.

- **დანართი 2**. ეს გახლავთ ექსელის ფორმატის დანართი, სადაც კადრების განყოფილებამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების მიერ დანართ 1 - ში ჩამოწერილი სახელებისა და გვარების შეყვანა და ფონდ ივერიისას ელექტრონულ ფოსტაზე info@iveriisa.ge გადმოგზავნა. ყველა აღნიშნული სახელი და გვარი აიტვირთება ფონდ ივერიისას ვებ გვედზე და ნებისმიერ მსურველს ექნება საშუალება იპოვოს საკუთარი და თავისი ახლობლების თავი შემომწირველთა სიაში, სადაც მითითებული იქნება სახელი, გვარი და აქციაში ჩართვის თარიღი. საბოლოოდ ყველა შემომწირველი ჩაიწერება ისტორიულ წიგნში, რომელიც საუკუნოდ დაიდება ზეციური და მიწიერი საქართველოს მიერ აშენებულ ტაძარში.

- **ინფორმაცია თანამშრომლებისათვის**: მოკლე ინსტრუქცია თუ როგორ უნდა შეავსონ დანართი 1.

- ფაილი სადაც მითითებულია ფონდ ივერიისას საბანკო რეკვიზიტები. შეგახსენებთ, ფონდს ანგარიში გახსნილი აქვს ყველა ბანკში.

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი "ივერიისა"

ს/კ 404868318

მის: თბილისი, პეკინის ქ. №28

==========================================================

## 1. ს.ს. "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101615

ა/ნ №GE91 VT66 5555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 2. ს.ს. "პროკრედიტ ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101922

ა/ნ №GE56 PC02 4360 0100 0055 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 3. ს.ს. "ლიბერთი ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101480

ა/ნ №GE35 LB07 7555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 4. ს.ს. "კორ სტანდარტ ბანკი"

ბანკის კოდი: 220101945

ა/ნ №GE79 KS00 0000 0005 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 5. ს.ს. "თიბისი ბანკი"-ს მარჯანიშვილის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101850

ა/ნ №GE96 TB70 0555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 6. ს.ს. ბანკ "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

ა/ნ №GE57 BR00 5555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

7. ს.ს. ”ტაოპრივატბანკი”

ბანკის კოდი: 220101702

ა/ნ №GE69 TP00 3608 0055 5555 55 (ლარი)
ა/ნ №GE31 TP00 3618 0055 5555 55 (აშშ დოლარი, რუსული რუბლი, ფუნტი, ევრო)

8. ს.ს. ”ბითიეი ბანკი” თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220101827

ა/ნ №GE33 BT03 6000 5555 5500 01 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

9. ს.ს. ”პროგრეს ბანკი”

ბანკის კოდი: 220101722

ა/ნ №GE97 PG00 0000 1034 2235 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

10. ს.ს. ”ინვესბანკი”

ბანკის კოდი: 220101722

ა/ნ №GE19 IN04 5555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

11. “ს.ს. ”კავკასიის განვითარების ბაკი”-ს თბილისის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101025

ა/ნ №GE54 CS00 5555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

12. ს.ს. ”აზერბაიჯანის საერთაშორისო ბაკნი საქართველო”

ბანკის კოდი: 220101912

ა/ნ №GE88 AZ55 5555 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

13. ს.ს. ”ბანკი ქართუ”

ბანკის კოდი: 220101081

ა/ნ №GE41 CR00 0000 0005 5536 18 (აშშ დოლარი, ევრო)
ა/ნ №GE20 CR00 0000 0005 5536 08 (ლარი)

## 14. ს.ს. ”ზირაათ ბანკის” თბილისის ფილიალი

ბანკის კოდი: 220101822

ა/ნ №GE75 ZB00 0000 5555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 15. ს.ს. ”ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო”

ბანკის კოდი: 220101555

ა/ნ №GE78 HG00 0000 1055 1510 01 GEL
ა/ნ №GE94 HG00 0000 1055 1511 01 USD
ა/ნ №GE67 HG00 0000 1055 1511 02 EUR
ა/ნ №GE40 HG00 0000 1055 1511 03 GBP

## 16. ს.ს. ”ხალიკ ბანკი საქართველო”

ბანკის კოდი: 220101905

ა/ნ №GE54 HB00 0000 0000 2036 05 (ლარი)
ა/ნ №GE21 HB00 0000 0000 3136 15 (აშშ დოლარი)
ა/ნ №GE69 HB00 0000 0000 3236 15 (ევრო)

## 17. ს.ს. ”ბანკი კონსტანტა”

ბანკის კოდი: 220101988

ა/ნ №GE43 CN00 0003 6855 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 18. ს.ს. ”საქართველოს ბანკი”-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101502

ა/ნ №GE35 BG00 0000 0555 5555 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

## 19. ს.ს. ”ბაზისბანკი”

ბანკის კოდი: 220101956

ა/ნ №GE41BS00 3655 5555 5365 55 (ლარი, აშშ დოლარი, ევრო)

დანართი №1

მე ———————————— თანახმა ვარ, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობისათვის ჩემი და ქვემოთ ჩამოთვლილი პირების სახელით ყოველთვიურად ჩავრიცხო ——————— ლარი.

| | ცოცხალთათვის | მიცვალებულთათვის | სოციალურად დაუცველ პირთა სახელით |
|---|---|---|---|
| | გვარი, სახელი | გვარი, სახელი | |
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |
| 11 | | | |
| 12 | | | |
| 13 | | | |
| 14 | | | |
| 15 | | | |
| 16 | | | |
| 17 | | | |

ხელმოწერა:

თარიღი: